

საქართველო 2018

აივ/შიდსი



მრავალინდიკატორული
კლასტერული კვლევა

აივ ინდიკატორები





ქალები

მამაკაცები



ცოდნა

იმ მოსახლეობის პროცენტი, რომელთაც იციან აივ-ის პრევენციის ორი გზის შესახებ (მხოლოდ ერთი, არაინფიცირებული, ერთგული სქესობრივი პარტნიორის ყოლა და ყოველი სქესობრივი კავშირისას პრეზერვატივის გამოყენება), იციან რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, რომელთაც უარყვევს ორი ყველაზე გავრცელებული მცდარი შეხედულება და ნებისმიერი სხვა ადგილობრივი მცდარი შეხედულება.





სტიგმა

იმ მოსახლეობის პროცენტი, რომლებიც აცხადებენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ, მათ შორის 1) არ იყიდდნენ ახალ ბოსტნეულს მაღაზიის მეპატრონისგან ან გამყიდველისგან, რომელიც აივ-ინფიცირებულია და 2) ფიქრობენ, რომ აივ-ინფიცირებული ბავშვები არ უნდა სწავლობდნენ იმ ბავშვებთან ერთად, რომელთაც არ აქვთ აივ-ი.




ტესტირება

იმ მოსახლეობის პროცენტი, რომლებმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩაიტარეს აივ-ზე ტესტირება და იციან შედეგი.



აივ-ზე კონსულტაცია მშობიარობამდე დაკვირვებისას

ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობა დობის მქონე 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია აივ-ზე მშობიარობამდე დაკვირვებისას ბოლო ბავშვზე ორსულობის დროს.




საკვანძო გზავნილები


- 15-49 წლის ასაკის ქალების მხოლოდ 16%-ს და მამაკაცების 15%-ს აქვს სწორი ცოდნა აივ-ის გადაცემის პრევენციის შესახებ და არ იზიარებენ ორ ყველაზე გავრცელებულ მცდარ შეხედულებას აივ-ის გადაცემის შესახებ.
- 15-49 წლის ასაკის ქალების 59%-მა და მამაკაცების 58%-მა გამოხატა დისკრიმინაციული დამოკიდებულებები აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში, 15-49 წლის ასაკის ქალების მხოლოდ 7%-მა და 15-49 წლის ასაკის მამაკაცების მხოლოდ 5%-მა ჩაიტარა აივ-ზე ტესტირება და იცის შედეგი. რაც შეეხება 15-24 წლის ახალგაზრდებს, ქალების მხოლოდ 7%-მა და მამაკაცების 3%-მა ჩაიტარა აივ-ზე ტესტირება და იცის შედეგი.
- ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ასაკის ქალების მხოლოდ 14%-ს და 15-24 წლის ასაკის ქალების მხოლოდ 8%-ს გაეწიათ კონსულტაცია აივ-ზე მშობიარობამდე დაკვირვებისას ბოლო ბავშვზე ორსულობის დროს.
- 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში ინფორმირებულობა უფრო მაღალია ქალაქის ტიპის დასახლებებში და ქალებსა და მამაკაცებში, რომლებიც მიეკუთვნებიან უმდიდრეს კვინტილს.

აივ ინდიკატორები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

სრული ცოდნა ქალებში*




სრული ცოდნა მამაკაცებში*




*15-49 წლის ასაკის იმ მოსახლეობის პროცენტი, რომელთაც იციან აივ-ის გადაცემის პრევენციის ორი გზა, იციან რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს და რომელთაც უარყვეს ორი ყველაზე გავრცელებული მდგარი შეხედულება.

ინფორმირებულობა დედისგან შვილზე აივ-ის გადაცემის შესახებ



15-49 წლის ასაკის იმ მოსახლეობის პროცენტი, რომლებმაც იციან, რომ აივ-ი შესაძლოა გადაეცეს დედისგან შვილს, გადაცემის გზების მიხედვით

დამოკიდებულებები აივ-ის მიმართ





15-49 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც ყოყმანობენ აივ-ტესტირების ჩატარებაზე იმიტომ, რომ ტესტის დადებითი შედეგის შემთხვევაში ხალხის რეაქციის ეშინიათ.

საკვანძო გზავნილები

- სწორი ცოდნა ყველა მდგარი შეხედულების შესახებ მამაკაცებს შორის, შეადგენს მხოლოდ 15%-ს, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია სოფლად - 8%, ასაკობრივ ჯგუფებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (8%) დაფიქსირდა 15-19 ასაკობრივ ჯგუფში, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მამაკაცებში (<1%) და უღარიბეს კვინტილში (6%).
- სწორი ცოდნა ყველა მდგარი შეხედულების შესახებ ქალებს შორის, შეადგენს მხოლოდ 16%-ს, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია სოფლად - 9%, ასაკობრივ ჯგუფებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (9%) დაფიქსირდა 15-19 ასაკობრივ ჯგუფში, ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებში (2%) და უღარიბეს კვინტილში (6%).
- საერთო ჯამში, ქალთა და მამაკაცთა პროცენტული წილი, რომელთაც იციან, რომ აივ-ი შესაძლოა გადაეცეს დედისგან შვილს ყველა გზით (ორსულობის პერიოდში, მშობიარობისას, ძუძუთი კვების დროს) დაბალია და შესაბამისად 37% და 28%-ს შეადგენს.
- ქალების 72% და მამაკაცების 64% აივ-ტესტირების ჩატარებაზე ყოყმანობენ იმიტომ, რომ ტესტის დადებითი შედეგის შემთხვევაში ხალხის რეაქციის ეშინიათ.
- საყურადღებოა, რომ 15-49 წლის ასაკის კაცების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩაიტარეს აივ-ზე ტესტირება და იციან შედეგი, ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (22%), ამ მაჩვენებელს მოსდევს მხოლოდ 5% გურიაში. რაც შეეხება 15-49 წლის ასაკის ქალებს, აღნიშნული მაჩვენებელი აგრეთვე ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (19%), რასაც მოსდევს მხოლოდ 9% თბილისში.

ინფორმირებულობა მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებში (15-24 წლის ასაკის)*


ინფორმირებულობა მოზარდ ბიჭებსა და ახალგაზრდა მამაკაცებში (15-24 წლის ასაკის)*



*15-24 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებმაც იციან აივ-ის გადაცემის პრევენციის ორი გზა, იციან რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს და რომლებმაც უარყვეს ორი ყველაზე გავრცელებული მცდარი შეხედულება.

მონაცემები რეგიონის მიხედვით, მამაკაცებისთვის ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩაიტარეს აივ-ტესტირება



15-49 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩაიტარეს აივ-ტესტირება და იციან შედეგი.

რეგიონული მონაცემები აივ-ტესტირების შესახებ

	მამაკაცები, რომლებმაც ჩაიტარეს ტესტირება ბოლო 12 თვის განმავლობაში	ქალები, რომლებმაც ჩაიტარეს ტესტირება ბოლო 12 თვის განმავლობაში
საქართველო	5	7
თბილისი	4	9
აჭარის ა.რ.	4	5
გურია	5	5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	7
კახეთი	3	5
მცხეთა-მთიანეთი	1	4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	22	19
სამცხე-ჯავახეთი	2	2
ქვემო ქართლი	1	5
შიდა ქართლი	2	4

ტესტირება ბოლო 12 თვის განმავლობაში: 15-49 წლის ასაკის იმ ადამიანთა პროცენტი, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩაიტარეს აივ-ტესტირება და იციან შედეგი.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია აივ-თან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში: TM11.1W, TM11.1M, TM11.2W, TM11.2M, TM11.3W, TM11.3M, TM11.4W, TM11.4M, TM11.5, TM11.6W და TM11.6M.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: mics.unicef.org/surveys.